# ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების ანგარიში

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების ანგარიში მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებიდან და მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტების შესრულების მე-3 კვარტლის მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულების მაჩვენებლები

*(ათას ლარებში)*

| **მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-3 კვარტლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები** | | | | |
|---|---|---|---|---|
| დასახელება | 2023 წლის მე-3 კვარტლის გეგმა | | 2023 წლის მე-3 კვარტლის საკასო შესრულება | |
| | სულ | მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები | სულ | მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები |
| შემოსავლები | **15782.9** | **6726.8** | **13009.7** | **5808.5** |
| გადასახადები | 8450.8 | | 6879.8 | |
| გრანტები | 6935.1 | 6726.8 | 5808.5 | 5808.5 |
| მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები | 6935.1 | 6726.8 | 5808.2 | 5808.2 |
| სხვა შემოსავლები | 397.0 | | 321.4 | |
| | | | | |
| ხარჯები | **10884.0** | **1687.1** | **9364.5** | **1261.4** |
| შრომის ანაზღაურება | 2672.9 | | 2448.7 | |
| საქონელი და მომსახურება | 1733.8 | 706.7 | 1253.0 | 501.5 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | | | | |
| პროცენტი | 26.0 | | 10.4 | |
| სუბსიდიები | 4719.8 | | 4264.7 | |
| გრანტები | 30.0 | | 15.0 | |
| სოციალური უზრუნველყოფა | 554.6 | | 492.1 | |
| სხვა ხარჯები | 1146.9 | 980.4 | 880.6 | 759.9 |

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 936.9 ათასი ლარი. აქედან 6.1 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერია, რომელიც დაბრუნებელია ხაზინაში

## შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

*(ათას ლარებში)*

| დასახელება | 2023 წლის მე-3 კვარტლის გეგმა | საკასო შესრულება | შესრულება %-ში |
|---|---|---|---|
| შემოსულობები | 17112.7 | 14016.0 | 82% |
| შემოსავლები | 15782.9 | 13009.7 | 82% |
| არაფინანსური აქტივების კლება | 455.6 | 69.4 | 15% |
| ფინანსური აქტივების კლება | 874.2 | 936.9 | |
| ვალდებულებების ზრდა | | | 0.0% |
| გადასახდელები | 17112.7 | 13501.7 | 79% |
| ხარჯები | 10884.0 | 9364.5 | 86% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6176.7 | 4111.5 | 67% |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | | | |
| ვალდებულებების კლება | 52.0 | 25.7 | 49% |
| ნაშთის ცვლილება | - | - | |

## ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შემოსულობების შესრულების შესახებ

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 17112.7 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 14016.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 82.0%.







I <u>შემოსავლები</u>

მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-3 კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 15782.9 ათასი ლარი, ფაქტიურად 13009.7 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 82% და მთლიანი შემოსულობების - 89% შეადგინა.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია - 917.0 ათასი ლარი, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის მე-3 კვარტლის ფაქტი – 845.6 ათასი ლარი);




დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 5962.8 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი - 5230.3 ათასი ლარი) შედარებით 732.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული[1].

II <u>გრანტები</u> საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5808.5 ათასი ლარი, მათ შორის:

1. <u>საერთაშორისო ორგანიზაციებიდან</u> მიღებული გრანტი 0.3 ათასი ლარი (283 ლარი და 25 თეთრი) საკონვერსაციო ოპერაციებისთვის
2. <u>მიმდინარე</u> გრანტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1294.3 ათ. ლარი; მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი 508.3 ათ. ლარი; სპეციალური ტრანსფერი 500.0 ათ. ლარი, სხვა მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 286.0 ათ. ლარი
3. <u>კაპიტალური</u> 4513.9 ათ. ლარი, მათ შორის: სპეციალური ტრანსფერი 853.6 ათ. ლარი; კაპიტალური ტრანსფერი 3385.5 ათ. ლარი; სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები 274.8 ათ. ლარი.

---

1




III <u>სხვა შემოსავლები</u> საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 397.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 321.4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 81%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წლის ფაქტი – 459.1 ათასი ლარი) შედარებით 137.7 ათასი ლარით ნაკლები შემოსავალია მიღებული, მათ შორის:

- პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 15.8 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (44.9 ათასი ლარი) შედარებით 29.1 ათასი ლარით ნაკლები.
- რენტის სახით მობილიზებულია 44.1 ათასი ლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (55.6 ათასი ლარი) შედარებით 11.5 ათასი ლარით ნაკლებია.
- ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 26.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (36.5 ათასი ლარი) 72.0%-ია. მათ შორის: სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 13.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (19.0 ათასი ლარი) 68.0%-ია. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 13.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (17.5 ათასი ლარი) 77.0%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (13.2 ათასი ლარი) შედარებით 0.2 ათასი ლარით მეტია.
- მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 21.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (12.0 ათასი ლარი) 183.0%-ია.
- სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 205.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (283.5 ათასი ლარი 73.0%-ია და 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (311.2 ათასი ლარი) შედარებით 105.3 ათასი ლარით ნაკლებია.
- ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 7.4 ათასი ლარი, რომელიც დაგეგმილი არ იყო, შემოსულია შემოსავალი

ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან – 7.4 ათასი ლარი.

- <u>არაფინანსური აქტივების კლებიდან</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 65.1 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 65.1 ათასი ლარი.




ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 874.2 ათასი ლარით (ნაშთი)

**ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის გადასახდელების შესრულების შესახებ**

2023 წელს მე-3 კვარტალში გადასახდელების შესრულების 79%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის (78%) ტოლია, ხოლო თანხობრივად (2022 წლის მე-3 კვარტალთან შედარებით) დახარჯულია 3569.1 ათასი ლარით მეტი.

## გადასახდელები სულ




2022 წლის მე-3 კვარტალი

2023 წლის მე-3 კვარტალი

## გადასახდელების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი




2022 წლის მე-3 კვარტალი




2023 წლის მე-3 კვარტალი

## 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17112.7 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13501.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.0%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 10884.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 9364.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.0%.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6176.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 4111.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 57.0%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 52.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 25.7 ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 49%-ია.




### მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 2672.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 2448.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.0%-ს შეადგენს

„საქონელი და მომსახურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 1733.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 1253.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 72.0%-ს შეადგენს.

„პროცენტის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 26.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ შეადგინა 10.4 ათ.ლარი, რაც გეგმის 40%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 4719.8 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 4264.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.0%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 1526.1 ათასი ლარი; ქალაქის გარე განათება - 382.5 ათასი ლარი; კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები - 784.6 ათასი ლარი; დასუფთავების ღონისძიებები - 314.8 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 1140.9 ათასი ლარი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 115.8 ათასი ლარი.

გრანტის მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა, განისაზღვრა 30.0 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 15.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 50.0%-ს შეადგენს. გრანტის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულ იქნა როგორიცაა: ა(ა)იპ „სამეგრელოს დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია" (რეგიონში ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია)

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 554.6 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 492.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.0%-ია

„სოციალური უზრუნველყოფის" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება - 196.6 ათასი ლარი;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვა - 1.0 ათასი ლარი;
- მარჩენალდაკარგული ოჯახების პირთა სოციალური დაცვა - 48.0 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 170.6 ათასი ლარი;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფა - 1.6 ათასი ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში 74.3 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1146.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 880.6 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 77.0%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა: სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილებით დაკისრებული სააღსრულებლო ხარჯი 26.0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარება - 477.9 ათასი ლარი; სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დახმარება - 318.1 ათასი ლარი; საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობა 57.6 ათასი ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა, რელიგია და სპორტი - 1.0 ათასი ლარი.

| **დასახელება** | **2023 წლის მე-3 კვარტლის გადასახდელების შესრულება** | | |
|---|---|---|---|
| | **გეგმა** | საკასო შესრულება | პროცენტი |
| ხარჯები | 10884.0 | 9364.5 | 86% |
| შრომის ანაზღაურება | 2672.9 | 2448.7 | 92% |
| საქონელი და მომსახურება | 1733.8 | 1253.0 | 72% |
| პროცენტები | 26.0 | 10.4 | 40% |
| სუბსიდიები | 4719.8 | 4264.7 | 90% |
| გრანტი | 30.0 | 15.0 | 50% |

| | | | |
|---|---|---|---|
| სოციალური უზრუნველყოფა | 554.6 | 492.1 | 89% |
| სხვა ხარჯები | 1146.9 | 880.6 | 77% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 6176.7 | 4111.5 | 67% |
| ვალდებულებები | 52.0 | 25.7 | 49% |
| **სულ გადასახდელები** | **17112.7** | **13501.7** | **79%** |

**ბიუჯეტის მე-3 კვარტლის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

*ფორმა E10;*

*(ათას ლარებში)*

| **აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-3 კვარტლის ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში** | | |
|---|---|---|
| **დასახელება** | **2023 წელი** | |
| საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 3692.2 | 81.0% |
| ეკონომიკური საქმიანობა | 3600.2 | 74.0% |
| გარემოს დაცვა | 314.7 | 83.0% |
| საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1944.3 | 79.0% |
| ჯანმრთელობის დაცვა | 312.4 | 88.0% |
| დასვენება, კულტურა, რელიგია და სპორტი | 1152.2 | 65.0% |
| განათლება | 1846.4 | 91.0% |
| სოციალური დაცვა | 613.6 | 91.0% |
| **სულ ხარჯები (ვალის დაფარვის გამოკლებით)** | **13476.0** | **79.0%** |




ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის 2023 წლის მე-3 კვარტლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 3692.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (4560.1 ათასი ლარი) 81.0%, მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 3655.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (4482.4 ათასი ლარი) 82.0%-ია;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 36.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (59.0 ათასი ლარი) 62.0%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსება არ გაწეულა, გეგმა 10.0 ათასი ლარია.

✓ სარეზერვო ფონდი დაგეგმილი იყო 8.7 ათასი ლარით, ხარჯი არ გაწეულა

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 4846.7 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 3600.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74.0%.

✓ სოფლის მეურნეობის დაფინანსება დაგეგმილი იყო - 851.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 242.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 28%-ია

✓ ტურიზმის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 30.0 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 15.0 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 50%)

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 3063.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3290.4 ათასი ლარი) 93.0 %;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 279.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (674.8 ათასი ლარი) 41.0%-ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 381.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 314.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.0%.

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 314.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (381.0 ათასი ლარი) 83.0%-ია;

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 2459.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1944.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 79.0%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 460.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (689.7 ათასი ლარი) 67%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 488.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (498.3 ათასი ლარი) 98.0% -ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 996.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1271.3 ათასი ლარი) 78.0% - ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 353.2 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 312.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.0%, მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 115.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (141.5 ათასი ლარი) 82.0%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 196.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (211.7 ათასი ლარი) 93.0% - ს შეადგენს.

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 1765.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1152.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 65.0% მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 594.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1043.9 ათასი ლარი) 57.0%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 532.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (627.1 ათასი ლარი) 85.0%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიო მაუწყებლობის დაფინანსებამ შეადგინა 23.7 ათასი ლარი, (რაც გეგმის 29.8 ათასი ლარი) 80.0 % - ს შეადგენს

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში დაგეგმილი იყო 14.5 ათასი ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 1.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 12%-ია

✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა დაგეგმილი იყო 50.0 ათასი ლარით, ხარჯი არ გაწეულა.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 2021.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 1846.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.0%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 1527.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (1665.7 ათასი ლარი) 92.0% - ს შეადგენს;

✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 319.3 ათასი ლარი (რაც გეგმის 356.1 ათასი ლარი) 89.6 %-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 673.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 613.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.0%. მათ შორის:

✓ მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვამ შეადგინა 48.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (56.5 ათასი ლარი) 85.0%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (2.0 ათასი ლარი) 50.0%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 170.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (205.5 ათასი ლარი) 83.0%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფა დაგეგმილი იყო 8.0 ათასი დაფინანსებული იყო 1.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 20.0% ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 392.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (401.4 ათასი ლარი) 88.0%-ს შეადგენს.

**სარეზერვო ფონდი**

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 11.3 ათასი ლარიდან გადარიცხულია 11.3 ათასი ლარი. მათ შორის: 2023 წლის 11-14 იანვარს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად.

| **2023 წლის მე-3 კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ** | | |
|---|---|---|
| ორგანიზაციული კოდი | **დასახელება** | **გადახდა** |
| | **სოციალური დაცვის ხარჯები** | **11.3** |
| 01 01 02 | სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარება | 11.3 |

მერის ბრძანების ჩამონათვალი:

| 2023 წლის მე-3 კვარტლის ბიუჯეტით განსაზღვრული სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების შესახებ | | | | |
|---|---|---|---|---|
| N | ბრძანების თარიღი და ნომერი | შინაარსი | ბრძანებით გამოყოფილი თანხა | გადარიცხული თანხა |
| 1 | 20.03.2023 ბ10.1023079001 | სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად. | 11.3 | 11.3 |
| | **სულ** | | **11.3** | **11.3** |

**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან** მიმართული სახსრები 2023 წელს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის მე-3 კვარტალში გამოყოფილი იქნა 111.0 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 62.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 56%-ია. მათ შორის:

- ✓ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება - 26.0 ათასი ლარი.
- ✓ სესხების მომსახურება და დაფარვა, სესხების მომსახურებისა და დაფარვისათვის საანგარიშო პერიოდში ხარჯმა შეადგინა 36.1 ათ. ლარი

აღნიშნული წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდთან მუნიციპალიტეტში ნაგვის გადაზიდვისთვის განკუთვნილი მანქანებისთვის 2018 წელს გაფორმებული ხელსეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაფარვას.

| გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კრედიტორის დასახელება | სულ სესხის ოდენობა 01.01.2022 წლის მდგომარეობით | 2022 წელს დაფარული სესხი | სულ დარჩენილი დავალიანება 01.01.2023 წლის თვის | მ.შ 2023 წლის მე-3 კვარტალში დაფინანსება არ განხორციელებულა | სესხის აღების მიზანი | სესხის % | სესხის დაფარვის ვადა |
| 1 | მუნიციპალური განვითარების ფონდი | 235.7 | 76.8 | 160.7 | 36.1 | ნაგვის მანქანების შესყიდვა | 15 | 2026 წელი |

## სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებული და გადარიცხული გრანტები პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით

| ორგანიზაციული კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | 2023 წლის მე-3 კვარტალი გეგმა | 2023 წლის მე-3 კვარტალი ხარჯი | სხვაობა | შესრულება % |
|---|---|---|---|---|---|
| **0** | **<u>სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან გამოყოფილი გრანტები [1]</u>** | **6974.9** | **5040.0** | **1934.5** | **72%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| 01 01 02 | აბაშის მუნიციპალიტეტის მერია | **412.6** | **274.8** | **137.8** | **67.0%** |
| 0 | | | | | |
| **02 01 01** | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია | **3187.7** | **3058.7** | **129.0** | **96.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **02 02** | ბინათმშენებლობა | **679.3** | **456.4** | **222.9** | **67.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **02 03** | გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია | **107.0** | **105.6** | **1.4** | **99.0%** |
| **0** | ჯამური | | | | |
| **02 05** | სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა | **851.5** | **242.2** | **609.3** | **28.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **02 06** | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | **674.8** | **279.9** | **394.9** | **44.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **02 07** | მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები | **150.8** | **0.0** | **150.8** | **0.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **02 10** | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა | **17.5** | **17.5** | **0** | **100.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **04 02** | საჯარო სკოლების დაფინანსება | **356.0** | **319.3** | **36.7** | **90.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |
| **05 00** | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | **240.0** | **0.0** | **0** | **0.0%** |
| 0 | | | | | |
| **06 00** | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | **297.7** | **286.0** | **11.7** | **96.0%** |
| 0 | ჯამური | | | | |

**მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლით დაფინანსებული პრიორიტეტები:**

- ინფრასტრუქტურა - 5544.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (7456.8 ათასი ლარი) 74.0%-ია;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა - 314.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (381.0 ათასი ლარი) 83.0%-ია
- განათლება - 1846.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (2021.8 ათასი ლარი) 91.0%-ია;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - 1152.2 ათასი ლარით, რაც გეგმის (1614.5 ათასი ლარი) 71.0%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 926.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (1026.6 ათასი ლარი) 90.0%-ია;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 3717.9 ათასი ლარით, რაც გეგმის (4612.1 ათასი ლარი) 81.0%-ია.



ინფრასტრუქტურის განვითარება (02 00)




ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 5544.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7456.8 ათასი ლარის 74.0%), მათ შორის:

02 01 საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება დაფინანსებულია 3063.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3290.4 ათასი ლარის 93.0%)

02 02 ბინათმშენებლობა დაფინანსებულია 460.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 689.7 ათასი ლარის 67.0%)

02 03 გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დაფინანსებულია 105.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 107.0 ათასი ლარის 99.0%)

02 05 სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, რეაბილიტაცია დაფინანსებულია 242.2 ათასი ლარით, (გეგმიური მაჩვენებლის 851.5 ათასი ლარის 28.0%)

02 06 სოფლის მხარდაჭერის პროგრამა დაფინანსებულია 279.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 674.8 ათასი ლარის 41.0%)

02 07 მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 1184.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1407.4 ათასი ლარის 84.0%)

02 09 ტურიზმის განვითარება დაფინანსებულია 15.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 30.0 ათასი ლარი 50.0%)

02 10 საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა დაფინანსებულია 194.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 406 ათასი ლარის 48.0%)

დასუფთავება და გარემოს დაცვა (03 00)




03 00 დასუფთავება და გარემოს დაცვა დაფინანსებულია 314.7 ათასი ლარის (გეგმიური მაჩვენებლის 381.0 ათასი ლარის 83.0%), მათ შორის:

03 01 ქალაქის დასუფთავება დაფინანსებულია 314.7 ათასი ლარის (გეგმიური მაჩვენებლის 381.0 ათასი ლარის 83.0%)

განათლება (04 00)




04 00 განათლება დაფინანსებულია 1846.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2021.8 ათასი ლარის 91.0%) მათ შორის:

04 01 სკოლამდელი განათლება ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულების გეგმა 1665.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 1527.1 ათასი ლარით რაც გეგმის 92.0%-ია

04 02 საჯარო სკოლები დაფინანსებულია 319.3 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 356.1 ათასი ლარის 90.0%)




05 00 კულტურა, ახალგაზრდობა, რელიგია და სპორტი დაფინანსებულია 1152.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1614.5 ათასი ლარის 71.0%) მათ შორის

05 01 სპორტის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 594.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 893.1 ათასი ლარის 67.0%)

05 02 კულტურის სფეროს განვითარება დაფინანსებულია 555.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 706.9 ათასი ლარის 79.0%

05 03 ახალგაზრდობის მხარდაჭერა დაგეგმილი იყო 14.5 ათასი ლარით, დაფინანსებულია 1.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 12.0%).

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (06 00)




06 00 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 926.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1026.6 ათასი ლარის 90.0%) მათ შორის:

06 01 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსებულია 115.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 141.5 ათასი ლარის 82.0%)

06 02 მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა დაფინანსებულია 196.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 211.7 ათასი ლარის 93.0%)

06 03 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 613.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 673.4 ათასი ლარის 91.0%)

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მე-3 კვარტლის შესრულება შემოსულობების, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის, გადასახდელების პროგრამული კლასიფიკაციის ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების მაჩვენებლების მიხედვით წარმოდგენილია დანართი N1-4.

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი

თეიმურაზ ნოდია ----------